ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5506517

ნომერი: AR1832153

თარიღი : 02.07.2021

გაცემის თარიღი : 16.07.2021

გაცნობის თარიღი : 16.07.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 , (ნაკვ. 002/037);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საზოგადობრივი, სავაჭრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: კაპიტალ ფროფერთი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404384055
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი კილაურიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005003552

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N01/3811
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.12.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 02.07.2021 წლის AR183215 განცხადებით მომართა ირაკლი კიღურაძემ და ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო ახალი ნებართვის გაცემა მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირ N2-ში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (მოიჯარე შპს “ კაპიტალ ფროფერთი“) აღმოსავლეთის რკინიგზის სადგური, სავაჭრო ცენტრის არქიტეტქტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 21 დეკემბრიდან 2013 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.
აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლით დამკვეთს დაევალა ამ ბრძანების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში სამსახურში წარმოედგინა: ა) შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა (დედანი) ჩასატარებელ სამუშაოებზე: ბ) მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და მასში დაფიქსირებული მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობის დედანი მიჯნის ზონაში ღიობების და შენობების ნაწილების განთავსების შესახებ: გ) საპროექტო მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა რეალური მდგომარეობის ასახვით და ჩასატარებელ სამუშაოებზე თანხმობის ამსახველი ხელშეკრულების დედანი (დამოწმებული შესაბამისი წესით). ამავე ბრძანების მე-5 პუნქტის შესაბამისად, მე-4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად.
სამსახურის 06.07.2012 წლის №236758 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანებაში, კერძოდ: შესრულებულად ჩაითვალა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მე–4 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტით დადგენილი პირობა და ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა „გ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა – განახლებული ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის წარმოდგენის ნაწილში; დამკვეთს განესაზღვრა დამატებითი 6 (ექვსი) თვიანი ვადა განახლებული იჯარის ხელშეკრულების წარმოსადგენად შესაბამისი ცვლილების ასახვით მშენებლობის განხორციელების ვადის განსაზღვრის ნაწილში, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო #ნ/3985–1 მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადასთან და 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანების მე–4 პუნქტის „ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად.
სამსახურის 23.01.2013 წლის №509193 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის №01/3811 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთს განესაზღვრა დამატებითი 6 (ექვსი) თვიანი ვადა 2011 წლის 16 დეკემბრის №01/3811 ბრძანების მე–4 პუნქტში არსებული პირობების შესასრულებლად.
რის შემდეგაც, ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამსახურში არ მომხდარა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ერთ-ერთი საფუძველია, თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.
ზემოაღნიშნულისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანების მე-5 პუნქტის შესაბამისად, ამავე ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის გამო, ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 დეკემბრის #01/3811 ბრძანება ძალადაკარგულია. შესაბამისად, სამსახური მოკლებლია შესაძლებლობას

დააკმაყოფილოს 02.07.2021 წლის AR1832153 განცხადება და გასცეს მშენებლობის ნებართვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.